პროექტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №------

2024 წლის „__“ „ _____"

ქ. ოზურგეთი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის (ორგ. კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილის, 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლისა და 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ადგენს:

მუხლი1.დამტკიცდეს **2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის (ორგ. კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ“ წესი** თანახმად **N1 დანართისა;**

მუხლი2. დამტკიცდეს პროგრამის ბიზნეს იდეის ფორმა თანახმად **№2 დანართისა;**

მუხლი3. დამტკიცდეს ბიზნეს განაცხადის ფორმა თანახმად **№3 დანართისა;**

მუხლი4. დამტკიცდეს ბიზნეს გეგმის შეფასების ფორმა **№4 დანართისა;**

მუხლი5.დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის (ორგ. კოდი 07 01 03) განხორციელების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 06 ივლისის N25 დადგენილება (ვებ.გვერდი 08/07/2022წ, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.113.016474);

მუხლი6.დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია